საქართველოს პრეზიდენტის 2021 წლის 28 დეკემბრის №28/12/01 განკარგულებით შექმნილი საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობისა და წევრობის კანდიდატთა შესარჩევი საკონკურსო კომისიის სხდომის შემაჯამებელი ოქმი

თბილისი **15 იანვარი, 2022. წ**

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსის" მე-12 მუხლის მე-3 პუნქტისა და 196[1] მუხლის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის (შემდგომში ცესკო) თავმჯდომარისა და წევრის ორ ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატთა შესარჩევად შექმნილი საკონკურსო კომისიის შემადგენლობა:

ზვიად გაბისონია - შპს ,,ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის" ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორი, კომისიის თავმჯდომარე;

ტატიანა ხოხიაშვილი - ა(ა)იპ - ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსათვის თავმჯდომარე, კომისიის მდივანი;

ზაურ ხალილოვი - ა(ა)იპ - სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდის აღმასრულებელი დირექტორი;

არნოლდ სტეფანიანი - ა(ა)იპ - კავშირი საერთო - სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველოს გამგეობის თავმჯდომარე;

ნინო ჩხობაძე - ა(ა)იპ - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველოს, თავმჯდომარე

პაატა ტურავა - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი;

№ 1/400
15.01.2022
31

სოფიო მიდელაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი;

გიორგი იაშვილი - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დიზაინის ფაკულტეტის პროფესორი;

შალვა ქურდაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი;

სხდომას ესწრებოდა საკონკურსო კომისიის სრული შემადგენლობა.

Covid 19-ის რეგულაციებიდან გამომდინარე საკონკურსო კომისიის სამი წევრი: ზვიად გაბისონია, ნინო ჩხობაძე და პაატა ტურავა სხდომას ესწრებოდნენ დისტანციურად.

საკონკურსო კომისიის მიერ სამუშაო ფორმატი წევრთა მიერ ერთხმად განისაზღვრა 3 ეტაპად:

პირველი ეტაპი მოიცავდა შემოსული განაცხადებისა და დოკუმენტაციის შესაბამისობის შემოწმებას საქართველოს პრეზიდენტის 2021 წლის 28 დეკემბრის №28/12/01 განკარგულებით დადგენილ მოთხოვნებთან.

მეორე ეტაპი მოიცავდა იმ კანდიდატებთან გასაუბრება/ინტერვიუს, რომელთა განაცხადები შეესაბამებოდა საქართველოს პრეზიდენტის 2021 წლის 28 დეკემბრის №28/12/01 განკარგულებით დადგენილ მოთხოვნებს.

კანდიდატებთან გასაუბრება/ინტერვიუ იყო საჯარო ხასიათის, ის პირდაპირ რეჟიმში გადაიცემოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის მეშვეობით.

მესამე ეტაპზე განისაზღვრა ცესკოს თავმჯდომარეობისა და წევრობის კანდიდატების შერჩევა/კენჭისყრა და საქართველოს პრეზიდენტისათვის წარდგენა.

ცესკოს თავმჯდომარეობის ვაკანტურ თანამდებობაზე განაცხადი შემოიტანა 5-მა კანდიდატმა. ესენი არიან:

1. თამაზ ფოლადაშვილი

2. თენგიზ თევზაძე
3. გიორგი შაიშმელაშვილი
4. გიორგი კალანდარიშვილი
5. თამაზ ნარიმანიძე

ცესკოს თავმჯდომარეობის კანდიდატებიდან საკონკურსო კომისიის მიერ პირველ ეტაპზე 1 კანდიდატს, თამაზ ნარიმანიძეს, უარი ეთქვა დოკუმენტაციაში არსებული ხარვეზების გამო. არ იყო წარმოდგენილი:

- განცხადება;
- ორი ფოტოსურათი;
- საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი;
- არანაკლებ 5 წლის შრომითი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- კანდიდატის ბიოგრაფია;
- ცნობა ნასამართლეობის შესახებ;
- ხელწერილი, რომელიც ადასტურებს პირის შესაბამისობას;
- კანდიდატის წერილობითი თანხმობა.

ცესკოს წევრობის ვაკანტურ თანამდებობაზე განაცხადი შემოიტანა 9 კანდიდატმა:

1. ქრისტინე ქაჯაია
2. ლევან ისაკაძე
3. ციალა შავაძე
4. რუსუდან მუმლაძე-ავალიანი
5. მამუკა ხოლეგაშვილი
6. მაია ზარიძე
7. გია ცაცაშვილი
8. ნატალია მეგუთნიშვილი
9. ირაკლი ტიკარაძე

ცესკოს წევრობის კანდიდატებიდან საკონკურსო კომისიის მიერ პირველ ეტაპზე უარი ეთქვა 2 კანდიდატს:

1. ნატალია მეგუთნიშვილს - არ იყო წარმოდგენილი მოთხოვნილი დოკუმენტაცია:
    - განცხადება;
    - არანაკლებ 5 წლის შრომითი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
    - საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატის ასლი;
    - კანდიდატის ბიოგრაფია;
    - ხელწერილი, რომელიც ადასტურებს პირის შესაბამისობას;
    - კანდიდატის წერილობითი თანხმობა.
2. ირაკლი ტიკარაძეს - არ იყო წარმოდგენილი მოთხოვნილი დოკუმენტაცია:
    - განცხადება;
    - ორი ფოტოსურათი;
    - საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
    - უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი;
    - არანაკლებ 5 წლის შრომითი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
    - საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატის ასლი;
    - კანდიდატის ბიოგრაფია;
    - ცნობა ნასამართლეობის შესახებ;
    - ხელწერილი, რომელიც ადასტურებს პირის შესაბამისობას;
    - კანდიდატის წერილობითი თანხმობა.

გასაუბრების შემდეგ კენჭი ეყარა თითოეულ კანდიდატს.

კენჭისყრის შედეგებია:

ცესკოს თავმჯდომარეობის კანდიდატები:

1. <u>**თამაზ ფოლადაშვილი**</u>

მხარდამჭერი: 5

ზვიად გაბისონია, ნინო ჩხობაძე, პაატა ტურავა, სოფიო მიდელაშვილი, გიორგი იაშვილი.

წინააღმდეგი: 4

ტატიანა ხოხიაშვილი, არნოლდ სტეფანიანი, ზაურ ხალილოვი, შალვა ქურდაძე.

2. <u>თენგიზ თევზაძე</u>

მხარდამჭერი: 5

ტატიანა ხოხიაშვილი, არნოლდ სტეფანიანი, ზაურ ხალილოვი, შალვა ქურდაძე, გიორგი იაშვილი.

წინააღმდეგი: 4

ზვიად გაბისონია, ნინო ჩხობაძე, პაატა ტურავა, სოფიო მიდელაშვილი

3. <u>გიორგი შაიშმელაშვილი</u>

მხარდამჭერი: 0

წინააღმდეგი: 9

4. <u>გიორგი კალანდარიშვილი</u>

მხარდამჭერი: 9

წინააღმდეგი: 0

ცესკოს წევრობის კანდიდატები:

1. **<u>ქრისტინე ქაჯაია</u>**

მხარდამჭერი: 6

ზვიად გაბისონია, ნინო ჩხობაძე, პაატა ტურავა, სოფიო მიდელაშვილი, გიორგი იაშვილი, შალვა ქურდაძე

წინააღმდეგი: 3

ტატიანა ხოხიაშვილი, არნოლდ სტეფანიანი, ზაურ ხალილოვი

2. <u>ლევან ისაკაძე</u>

მხარდამჭერი: 6

ზვიად გაბისონია, ნინო ჩხობაძე, პაატა ტურავა, სოფიო მიდელაშვილი, გიორგი იაშვილი, შალვა ქურდაძე

წინააღმდეგი: 3

ტატიანა ხოხიაშვილი, არნოლდ სტეფანიანი, ზაურ ხალილოვი

3. <u>ციალა შავაძე</u>

მხარდამჭერი: 0

წინააღმდეგი: 9

4. <u>რუსუდან მუმლაძე-ავალიანი</u>

მხარდამჭერი: 0

წინააღმდეგი: 9

5. <u>მამუკა ხოლეგაშვილი</u>

მხარდამჭერი: 0

წინააღმდეგი: 9

6. <u>მაია ზარიძე</u>

მხარდამჭერი: 9

წინააღმდეგი:0

7. <u>გია ცაცაშვილი</u>

მხარდამჭერი: 9

წინააღმდეგი: 0

კომისიის 9 წევრის ინდივიდუალური მოსაზრება თან ერთვის ოქმს და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

კენჭისყრის შედეგად, საქართველოს პრეზიდენტს წარედგინა შემდეგი კანდიდატურები:

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ვაკანტურ პოზიციაზე:

1. **თამაზ ფოლადაშვილი**
2. **თენგიზ თევზაძე**
3. **გიორგი კალანდარიშვილი**

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრის 2 ვაკანტურ პოზიციაზე:

1. **ქრისტინე ქაჯაია**
2. **ლევან ისაკაძე**
3. **მაია ზარიძე**
4. **გია ცაცაშვილი**

<u>**კომისიის წევრთა ხელმოწერები:**</u>

ზვიად გაბისონია - თავმჯდომარე

Zviad Gabisonia 01026008225

Digitally signed by Zviad Gabisonia
Date: 2022.01.15 16:01:15

ტატიანა ხოხიაშვილი - მდივანი

ზაურ ხალილოვი

ნინო ჩხობაძე

პაატა ტურავა

არნოლდ სტეფანიანი

სოფიო მიდელაშვილი

გიორგი იაშვილი

შალვა ქურდაძე

ცესკოს თავმჯდომარეობისა და წევრობის კანდიდატების შეფასებები

N	კანდიდატი სახელი, გვარი	შეფასება	მოსაზრება კანდიდატის შესახებ
1	თამაზ ფოლადაშვილი	დადებითი	კანდიდატს აქვს საარჩევნო კანონმდებლობის სრულყოფილი ცოდნა და კარგად ერკვევა პრაქტიკულ საკითხებში. აქვს მართვის უნარები. უფრო მეტად ორიენტირებულია პრაქკიკული საკითხების რეალიზაციაზე და ნაკლები ხედვა გააჩნია ინოვაციური სიახლეების შეტანაზე საარჩევნო პროცესში. პროფესიონალიზმიდან და მართვის გამოცდილებიდან გამომდინარე კანდიდატი დადებით შეფასებას იმსახურებს და მიზანშეწონილად მიმაჩნია მისი წარდგენა თამჯდომარეობის კანდიდატად.
2	თენგიზ თევზაძე	უარყოფითი	კანდიდატს ქონდა მაღალი ცოდნა კონსტიტუციონალიზმსა და საარჩევნო კანონმდებლობასტან დაკავშირებით. გარდა ამისა, რომ აქტიურად არის ჩართული არჩევნების დაკვირვების პროცესში, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას აწარმოებს უსდ-ში, რაც უდავოდ პოზიტიურია. მიუხედავად იმისა, რომ კანდიდატი წარმოადგენს ერთადერთი კანდიდატს სამოქალაქო სექტორიდან, კითხვები დარცა მის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობასტან დაკავშირებულ საკითხებზე, რადგან კომისიის წევრების მიერ დასმული შეკიტხვებიდან, გამოიკვეთა აფილაცია პოლიტიკურ პარტიასტან და ჯგუფებთან. რაც კითხვის ნიშანს აჩენს თავმჯდომარეობის კანდიდატის ობიექტურობასტან დაკავშირებით
3	გიორგი შაიშმელაშვილი	უარყოფითი	კანდიდატს გაუჭირდა გამოეცა ხედვა მისი სამომავლო გეგმებისა და საქმიანობისა ცესკოს თავმჯდომარედ არჩევის შემთხვევაში. ვერ წარმოაჩინა მართვის უნარები.
4	გიორგი კალანდარიშვილი	დადებითი	კანდიდატი არის უმაღლესი რანგის პროფესიონალი, მოსაზრებებს გადმოსცემს თამამად, არ ერიდება კრიტიკას და საკმაოდ მგრადის სტრესული გარემოს მიმართ. კანდიდატს აქვს 14 წლის საარჩევნო გამოცდილება ცესკოს პრაქტიიკულად ყველა პოზიციაზე. ემხრობა ინოვაციური ტექნოლოგიების შემოტანა-დანერგვას საარცევნო პროცესში. ასევე აქვს ზუსტი ხედვა ცესკოს თანამშრომლების შემდგომი

			გადამზადების და საარჩევნო პროცესის გაუმჯობესების შესახებ. აღნიშნული კანდიდატი გამოკვეთილად მაღალ შეფასებას იმსახურებს და მიზანშეწონილია მისი წარდგენა თავმჯდომარეობის კანდიდატად.
5	ქრისტინე ქაჯაია	დადებითი	კაკნდიდატს აქვს საარჩევნო კანონმდებლობის ცონდა, ინოვაციური მიდგომები საარჩევნო პროცესის გამოუმჯობესსებასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ მას არ გააჩნია ცესკოს მაღალ რგოლებში მართვის გამოცდილება, ის ამ შანსს ნამდვილად იმსახურებს და მიზანშეწონილად მიმაჩვია წევრობის კანდიდატად მისი წარდგენა
6	ლევან ისაკაძე	დადებითი	კანდიდატმა ძირიტად პრიორიტეტად განსაზღვრა ახალგაზრდების დაინტერესება და მოზიდვა ცესკოს სტრუქტურებში, რაც მხარდაჭერას იმსახურებს, თუმცა გაუჭირდა როგორც ცესკოს წევრს, წარმოეჩინა რა კონკრეტული ხედვები ქონდა ცესკოს საქმიანობის გაუმჯობესებისა. მისი გამოცდილებიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიმაჩნია წევრობის კანდიდატად წარდგენა.
7	ციალა შავაძე	უარყოფითი	კანდიდატს გააჩნია ცესკოში სხვადასხვა სტრუქტურებში მუშაობის დიდი ხნის გამოცდილება, აქვს საკმარისი გამოცდილება და პროფესიონალიზმი, მაგრამ აქვს უფრო მეტას სტანდარტული საქმიანობის გამოცდილება და ვერ წარმოაჩენს წევრობის შემთხვევაში მის ხედვას და იმ სიახლეებს, როს დანერგვასაც ის აპირებს ან რას გააკეთებს გარემოს გასაუმჯობესებლად.
8	რუსუდან მუმლაძე-ავალიანი	უარყოფითი	კანდიდატს გააჩნია საკმაოდ საინტერესო, თუმცა ზოგადი მოსაზრებები ცესკოს საქმიანობისა და საარჩევნო კანონმდებლობის და გარემოს გაუმჯობესების შესახებ. მოსაზრებებს საკმაოდ კარგად აყალიბებს, აკლია მართვის უნარების გამოცდილება, რაც აუცილებელია ცესკოს წევრობისთვის
9	მამუკა ხოლეგაშვილი	უარყოფითი	კანდიდატს გააჩნია პრაქტიკული გამოცდილება ადგილობრივი თვითმართველობის ორგანიებსა და სხვადასახვა სახელმწიფო სტრუქტურაში, აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და საადვოკატო საქმიანობის გამოცდილება. არ აქვს ცესკოში მუშაობის სპეციფიკური გამოცდილება და ის მართვის უნარები, რაც ცესკოს წევრობისათვის აუცილებელია. გარდა ამისა, ინტერვიუს დროს გამოიკვეტა გარკვეული ტიპის აფილაცია

			პოლიტიკურ პარტიასთან და პოლიტიკურ ჯგუფებთან, რაც ობიექტურობის ნაწილში კითხის ნიშნებს ბადებს.
10	მაია ზარიძე	დადებითი	კანდიდატს აქვს დიდი გამოცდილება ცესკოს სხვადასხვა პოზიციებზე მუშაობის, ჩამოყალიბებული პოზიციები და მოსაზრებები როგორც ცესკოს საქმიანობის გაუმჯობესების, ასევე საარჩევნო კანონმდებლობის სრულყოფასტან დაკავშირებით. მიზანშეწონილად მიმაჩნია მისი წევრობის კანდიდატად წარდგენა.
11	გია ცაცაშვილი	დადებითი	კანდიდატი არის მაღალი ინტელექტისა და განათლების მქონე, აქვს დიდი გამოცდილება ცესკოს საქმიანობისა და რაც მტავარია, ზუსტი ხედვა რა ნაკლოვანებები გააჩნია სისტემას და რისი გამოუმჯობესებაა შესაძლებელი. ასევე აქვს მოსაზრებები ინოვაციური მოდელების შეტანისა და აქვს კრიტიკის აღქმის პოზიტიური უნარ-ჩვევები. მიზანშეწონილად მიმაჩნია მისი წევრობის კანდიდატად წარდგენა

კომისიის თავმჯდომარე

ზვიად გაბისონია

15.01.2022

Zviad Gabisonia

Digitally signed by Zviad Gabisonia
Date: 2022.01.15 12:02:34

ცესკოს თავმჯდომარეობის და წევრობის კანდიდატების არგუმენტირებული შეფასება

საკონკურსო კომისიის წევრი ტატიანა ხოხიაშვილი

N	კანდიდატი სახელი, გვარი	შეფასება	მოსაზრება კანდიდატის შესახებ
1	თამაზ ფოლადაშვილი	უარყოფითი	კანდიდატს აქვს საკმარისი გამოცდილება და პროფესიონალიზმი იმისათვის, რომ ის იყოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თანამშრომელი, მაგრამ ვფიქრობ ის ჯერ არ არის მზად დაიკავოს ისეთი საპასუხისმგებლო პოზიცია, როგორიც არის ცესკოს თავმჯდომარეობა. მან ისაუბრა ზოგადად გამოწვევებზე და არ უსაუბრია როგორ აპირებს თავად ამ გამოწვევების აღმოფხვრას
2	თენგიზ თევზაძე	დადებითი	არის ერთადერთი კანდიდატი სამოქალაქო სექტორიდან, მე დავსვი შეკითხვა მის მიუკერძოებლობაზე (კითხვები გაჩნდა მისი ორგანიზაციის წევრების აფილირებაზე ნაციონალურ მოძრაობასთან) და ჩემთვის დამაკმაყოფილებელი იყო მისი პასუხი. ვფიქრობ კანდიდატი არის ჩამოყალიბებული თავის გადაწყვეტილებაში, აქვს საკმარისი განათლება და გამოცდილება, რაც მისაღებია ჩემთვის, იმისათვის რომ ის გახდეს ცესკოს მომავალი თავმჯდომარე
3	გიორგი შაიშმელაშვილი	უარყოფითი	კანდიდატს არ გააჩნია ცესკოს თავმჯდომარეობისათვის საჭირო უნარები, მისი გამოცდილება საკმარისი არაა გახდეს ცესკოს თავმჯდომარე.
4	გიორგი კალანდარიშვილი	დადებითი	მართალია ის არის ცესკოს მოქმედი თავმჯდომარე და მის მიმართ არის გარკვეული კითხვები, მაგრამ მიუხედავად ამისა მისი გამოცდილება, ცოდნა, უნარები მაძლევს იმის უფლებას მივცე დადებითი შეფასება. ჩემს შეკითხვაზე, რომელიც საკონსულტაციო საბჭოს მუშაობის ჩაშლას შეეხებოდა, მან ჩემთვის დამაკმაყოფილებელი პასუხი გამცა. მან ასევე დადებითად შეაფასა კრწანისის საარჩევნო ოლქში განხორციელებული საპილოტე პროექტი და გამოთქვა მზაობა ყველანაირად ხელი შეუწყოს ამ მეთოდის დანერგვას, რაც გააჯანსაღებს საარჩევნო პროცესს და გაზრდის სანდოობას
5	ქრისტინე ქაჯაია	უარყოფითი	ვფიქრობ მისი შრომითი გამოცდილება არ არის საკმარისი იმისათვის, რომ გახდეს ცესკოს წევრი. მან ვერ ჩამოაყალიბა ის მიდგომები თუ რის განვითარებას აპირებს ცესკოს წევრობის შემთხვევაში.

6	ლევან ისაკაძე	უარყოფითი	მიუხედავად მისი გამოცდილებისა, ვფიქრობ მისი წევრობა ცესკოს ახალს ვერაფერს შემატებს. მან ისაუბრა ახალგაზრდების დაინტერესებაზე და მოზიდვაზე ცესკოს სტრუქტურებში, თუმცა თავად, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ მაღალ პოზიციაზე მუშაობს და თავისუფალია გადაწყვეტილებებში, მსგავსი არაფერი გაუკეთებია
7	ციალა შავაძე	უარყოფითი	ის მუშაობს ცესკოს სტრუქტურებში წლების განმავლობაში, მას აქვს საკმარისი გამოცდილება და პროფესიონალიზმი, მაგრამ მიუხედავად ამისა ვფიქრობ, რომ ცესკოს წევრობა კომისიას ახალს ვერაფერს შესძენს.
8	რუსუდან მუმლაძე-ავალიანი	უარყოფითი	მისი პროფესიონალიზმი და გამოცდილება საკმარისი არაა ცესკოს წევრობისთვის. მან გასაუბრებისას ისაუბრა იმ პრობლემებზე რაც არსებობს და საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციების ანგარიშებში ისედაც არის აღწერილი, თუმცა მზა რეცეპტი, როგორ უნდა გადაიჭრას ეს პრობლემები არ წარმოუდგენია
9	მამუკა ხოლეგაშვილი	უარყოფითი	მისი ცოდნა და გამოცდილება საკმარისი არაა იმისათვის, რომ გახდეს ცესკოს წევრი. მან ვერც თავის დამოუკიდებლობაში და მიუკერძოებლობაში დამარწმუნა.
10	მაია ზარიძე	დადებითი	მას აქვს საკმარისი ცოდნა და გამოცდილება იმისათვის, რომ გახდეს ცესკოს წევრი. მან ნათლად ჩამოაყალიბა თავისი ხედვა და პრობლემების გადაჭრის გზები
11	გია ცაცაშვილი	დადებითი	მას აქვს საკმარისი ცოდნა და გამოცდილება, ის არის ერთ-ერთი მაღალი კვალიფიკაციის საარჩევნო მოხელე, ჩემთვის დამაკმაყოფილებელი იყო მისი პროფესიონალიზმი. მან საკმაოდ კარგად ჩამოაყალიბა თავისი ხედვა ცესკოს საქმიანობის შესახებ და პრობლემების გადაჭრის გზები, რაც ჩემთვის იყო მისაღები.

ტატიანა ხოხიაშვილი

15.01.2022

ცესკოს თავმჯდომარეობის ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატების შეფასება

სახელი, გვარი	*შეფასება*	*მოსაზრება* *შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით:*
1. **თამაზ ფოლადაშვილი**	დადებითი	კანდიდატს გააჩნია საკმარისი გამოცდილება საარჩევნო პროცესების ადმინისტრაციული მართვის სფეროში. კარგათ ფლობს საარჩევნო კანონდებლობას. გააჩნია საკუთარი ხედვა საარჩევნო პროცესის სრულყოფაზე საჯაროობის და გამჭირვალობის უზრუნველსაყოფათ
2. **თენგიზ თევზაძე**	უარყოფითი	კანდიდატს გააჩნია პრაქტიკული და თეორიული ცოდნა საარჩევნო პროცესების. გააჩნია უნარი და გამოცდილება სადამკვირლებლო სისტემის აწყობაში, თუმცა არა აქვს პრაკტიკული გამოცდილება საარჩევნო ადმინისტრაციაში მუშაობის. წარმოადგინა საკუთარი თეორიული მოსაზრებები საარჩევნო სისტემის სრულყოფაზე.
3. **გიორგი შაიშმელაშვილი**	უარყოფითი	წარმოდგენილმა კანდიდატმა ვერ წარმოადგინა ნათლათ საკუთარი ხედვები და შესაბამისად არ იყო დამაჯერებელი პრეზეტანციის დროს.
4. **გიორგი კალანდარიშვილი**	დადებითი	კანდიდატმა წარმოადგინა საკმაოდ დამაჯერებლად საკუთარი ხედვები საარჩევნო ადმინისტრაციული სისტემის სრულყოფასთან დაკავშირებით. გამოავლინა ცოდნა საარჩევნო პროცესების, არსებული გამოწვევების და პრობლემების დანახვის უნარი. გააჩნია საკმარისი მენეჯერული გამოცდილება და პროფესიული უნარ-ჩვევები.

ცეესკოს წევრების ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატების შეფასება

სახელი, გვარი	*შეფასება*	*მოსაზრება* *შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით:*
5. **ქრისტინე ქაჯაია**	დადებითი	აქვს საკმარისი გამოცდილება საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებით, გააჩნია მართვის გამოცდილება, არ არსებობს დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის საფუძველი
6. **ლევან ისაკაძე**	დადებითი	გააჩნია პრაქტიკული გამოცდილება და უნარი,ნათლათ წარმოადგინა საკუთარი ხედვა საარჩევნო პროცესთნ დაკავშირებით
7. **ციალა შავაძე**	უარყოფითი	კანდიდატმა ვერ წარმოადგინა ნათლათ და დამაჯერებლათ საკუთარი ხედვა და მოტივაცია

8.	**რუსუდან მუმლაძე-ავალიანი**	უარყოფითი	კანდიდატს არა აქვს საკმარისი გამოცდილება და ცოდნა საარჩევნო პროცესის და ვერ აკმაყოფილებს საარჩევნო კომისიის წევრისთვის საჭირო მოთხოვნებს
9.	**მამუკა ხოლეგაშვილი**	ყარყოფითი	კანდიდატს არა აქვს საკმარისი გამოცდილება საარჩევნო პროცესში, თუმცა გააჩნია გარკვეული გამოცდილება საჭარო სამსახურში ვერ აკმაყოფილებს საარჩევნო კომისიის წევრისთვის საჭირო მოთხოვნებს
10.	**მაია ზარიძე**	დადებითი	კანდიდატი კარგათ იცნობს ცესკოს საქმიანობას და თავისებურებს საარჩევნო პროცესის. ხედავს გამოწვევებს და ნაკლოვანებებს. გააჩნია მრავალწლიანი გამოცდილება და უნარ - ჩვევები შესაბამისი პოზიციის დასაკავებლათ
11.	**გია ცაცაშვილი**	დადებითი	კანდიდატი გამოირჩევა მაღალი პროფესიონალიზმით. კარგათ იცნობს ცესკოს საქმიანობას და თავისებურებს საარჩევნო პროცესის. ხედავს ნაკლოვანებებს და გამოწვევებს. გააჩნია მრავალწლიანი გამოცდილება და უნარ - ჩვევები შესაბამისი პოზიციის დასაკავებლათ.

ნინო ჩხობაძე
15.01.2022

სახელი, გვარი	შეფასება	შეფასების კრიტერიუმები
1. თამაზ ფოლადაშვილი	დადებითი	დასტურდება: ა. მენეჯერული გამოცდილება; ბ. კანონმდებლობის ცოდნა; გ. არ არსებობს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მიმართ ეჭვის საფუძველი. ვლინდება პრაქტიკის პრობლემების ანალიზის და საკუთარი მიდგომების ნათლად ჩამოყალიბების უნარი.
2. თენგიზ თევზაძე	უარყოფითი	ა. არ დასტურდება მენეჯერული უნარები; ბ. კანდიდატის მოსაზრებები და მიდგომები ჩამოყალიბებულია სამეცნიერო ლიტერატურის გავლენით. მისი ხედვები არ ეფუძნება საარჩევნო სფეროში პრაქტიკული საქმიანობით მიღებულ გამოცდილებას; გ. საეჭვოა კანდიდატის პოლიტიკური ნეიტრალიტეტი.
3. გიორგი შაიშმელაშვილი	უარყოფითი	ა. არ დასტურდება მენეჯერული უნარები; ბ. ნათლად არ არის გამოკვეთილი კანდიდატის ხედვები და მიდგომები.
4. გიორგი კალანდარიშვილი	დადებითი	ა. დასტურდება მენეჯერული გამოცდილება; ბ. აქვს კანონმდებლობის და პრაქტიკის სრულყოფილი ცოდნა; გ. არ არსებობს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მიმართ ეჭვის საფუძველი. აქვს ნათლად ჩამოყალიბებული ხედვები საარჩევნო სისტემაში არსებული პრობლემების გადასაჭრელად.
5. ქრისტინე ქაჯაია	დადებითი	ა. დასტურდება კანდიდატის პრაქტიკული გამოცდილება და უნარები. ბ. აქვს არსებული პრობლემების ანალიზის უნარი. ნათლად აყალიბებს საკუთარ ხედვებს. გ. გ. არ არსებობს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მიმართ ეჭვის საფუძველი.
6. ლევან ისაკაძე	დადებითი	ა. დასტურდებაპრაქტიკული გამოცდილება და უნარები. ბ. აქვს პობლემების ანალიზის უნარი. საკუთარი ხედვები ნათლად არის ჩამოყალიბებული. გ. არ არსებობს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მიმართ ეჭვის საფუძველი.
7. ციალა შავაძე	უარყოფითი	ა. არ არის ნათლად გამოკვეთილი საკუთარი ხედვები და

		მიდგომები; ბ. ბუნდოვანია მოტივაცია.
8. რუსუდან მუმლაძე-ავალიანი	უარყოფითი	ა. ბუნდოვანია პრაქტიკული გამოცდილება და მოტივაცია; ბ. ბიოგრაფიის გათვალისწინებით პოლიტიკური ნეიტრალიტეტი საეჭვოა.
9. მამუკა ხოლეგაშვილი	უარყოფითი	კონკურსანტს აქვს ღირებული პრაქტიკული გამოცდილება საჯარო მმართველობის სფეროში, თუმცა მისი ბიოგრაფიის გათვალისწინებით პოლიტიკური ნეიტრალიტეტი საეჭვოა.
10. მაია ზარიძე	დადებითი	ა. აქვს პრაქტიკული გამოცდილება. ბ. აქვს ცოდნა საარჩევნო სამართლის სფეროში. საკუთარი ხედვები და მიდგომები ნათლად არის ჩამოყალიბებული. გ. არ არსებობს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მიმართ ეჭვის საფუძველი.
11. გია ცაცაშვილი	დადებითი	ა. აქვს პრაქტიკული გამოცდილება. ბ. აქვს საარჩევნო კანონმდებლობის ცოდნა. კარგად იცნობს პრაქტიკის პრობლემებს და აქვს ნათლად გამოკვეთილი ხედვები. გ. არ არსებობს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მიმართ ეჭვის საფუძველი.

პაატა ტურავა

14.01.2022

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობისა და წევრობის კანდიდატურების შესარჩევად, საქართველოს პრეზიდენტის მიერ შექმნილი საკონკურსო კომისიის წევრის - არნოლდ სტეფანიანის დასაბუთება კანდიდატებთან დაკავშირებით

<u>ცესკოს თავმჯდომარეობის კანდიდატების შეფასება</u>

თამაზ ფოლადაშვილი

კანდიდატი იცნობს საარჩევნო კანონმდებლობას, აქვს გარკვეული გამოცდილება, თუმცა აღნიშნული გამოცდილება არ იძლევა იმის რწმენას, რომ შეძლებს ცესკოს თავმჯდომარის ფუნქციების სრულყოფილად შესრულებას. კანდიდატმა ვერ წარმოადგინა, საარჩევნო ადმინისტრაციაში არსებული გამოწვევების აღმოფხვრის, ცვლილებების და რეფორმების მკაფიო ხედვა. რის გამოც მხარს არ ვუჭერ მის კანდიდატურას.

თენგიზ თევზაძე

კანდიდატი კარგად იცნობს საარჩევნო კანონმდებლობას და საარჩევნო პროცესებს, ასევე გამოავლინა საერთაშორისო პრაქტიკის ცოდნაც. აქვს ჩამოყალიბებული მკაფიო ხედვა, ცესკოს წინაშე არსებული პრაქტიკული გამოწვევების გადასაჭრელად. გასაუბრებაზე გამოირჩეოდა კონსტრუქციული კრიტიკით, რაც იძლევა რწმენის საშუალებას, რომ იქნება პრინციპული, რის გამოც მის კანდიდატურას ვუჭერ მხარს.

გიორგი შაიშმელაშვილი

კანდიდატს არ აქვს შესაბამისი გამოცდილება, ვერ გამოავლინა ხედვა მისი, როგორც ცესკოს თავმჯდომარის სამომავლო საქმიანობის შესახებ. 2021 წლის არჩევნებზე, იყო საოლქო საარჩევნო კომისიის პარტიული წევრი, რაც ეჭვქვეშ აყენებს მის მიუკერძოებლობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, არ ვუჭერ მხარს მის კანდიდატურას.

გიორგი კალანდარიშვილი

შეფასების დროს, გავითვალისწინე, კანდიდატის საარჩევნო საკითხებზე მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება, მათ შორის ცესკოს თავმჯდომარის ეგიდით. გასაუბრების ეტაპზე, კანდიდატმა ისაუბრა საარჩევნო პროცესში გამოვლენილ ხარვეზებთან დაკავშირებით, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ოლქებში და წარმოადგინა ამ ხარვეზების აღმოფხვრის მკაფიო ხედვა. მიმაჩნია, რომ აკმაყოფილებს კომისიის მიერ შემუშავებულ ყველა კრიტერიუმს, რის გამოც მხარს ვუჭერ მის კანდიდატურას.

<u>ცესკოს წევრობის კანდიდატების შეფასება</u>

ქრისტინე ქაჯაია

კანდიდატს აქვს საარჩევნო საკითხებზე მუშაობის გარკვეული გამოცდილება, თუმცა ვერ წარმოადგინა მკაფიო ხედვა, მისი როგორც ცესკოს წევრის სამომავლო საქმიანობაზე. შესაბამისად, არ ვუჭერ მხარს მის კანდიდატურას.

ლევან ისაკაძე

კანდიდატს აქვს გარკვეული საარჩევნო გამოცდილება, თუმცა ვერ მოახდინა ცესკოს წინაშე არსებული პრაქტიკული პრობლემებისა და გამოწვევების იდენტიფიკაცია. ვერ წარმოადგინა მკაფიო ხედვა, შესაბამისად მხარს არ ვუჭერ მის კანდიდატურას.

ციალა შავიძე

კანდიდატს აქვს საარჩევნო გამოცდილება. გასაუბრების ეტაპზე, გამოავლინა ცესკოს წინაშე მდგარი პრობლემების და გამოწვევების ზედაპირული ცოდნა. ასევე ვერ წარმოადგინა საკმარისი ხედვა, ვერ აკმაყოფილებს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის კრიტერიუმს. აღნიშნულიდან გამომდინარე მხარს არ ვუწერ მის კანდიდატურას.

რუსუდან მამულაძე ავალიანი

კანდიდატს არ აქვს საარჩევნო გამოცდილება, გასაუბრების ეტაპზე, ისაუბრა მხოლოდ ზოგადი ხასიათის პრობლემებზე, წარმოადგინა ასევე ზოგადი ხასიათის ხედვები. ვერ აკმაყოფილებს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის კრიტერიუმს, რის გამოც მის კანდიდატურას მხარს არ ვუჭერ.

მამუკა ხოლეგაშვილი

კანდიდატს არ აქვს შესაბამისი გამოცდილება, ბუნდოვნად იცნობს საარჩევნო კანონმდებლობას, ასევე, ბუნდოვანია კანდიდატის მოტივაცია, რატომ სურს იყოს ცესკოს წევრი. ვერ აკმაყოფილებს მიუკერძოებლობის კრიტერიუმს და ვერ წარმოადგინა მინიმალური ხედვა, მისი როგორც ცესკოს წევრის სამომავლო საქმიანობის შესახებ, რის გამოც მხარს არ ვუჭერ აღნიშნულ კანდიდატს.

მაია ზარიძე

საინტერესო იყო, კანდიდატის მოსაზრებები ცესკოს წინაშე არსებული პრობლემებისა და გამოწვევების შესახებ. გამოავლინა გააზრებული ხედვა, ამ პრობლემებისა და გამოწვევების აღმოფხვრასთან დაკავშირებით, რაც იძლევა იმისა რწმენის საფუძველს, რომ კანდიდატი ხელმეორედ არჩევის შემთხვევაში, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ცესკოს საქმიანობაში. გააჩნია ეთნიკური უმცირესობების ელექტორალური საჭიროებების სიღრმისეული ცოდნა. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მხარს ვუჭერ მის კანდიდატურას.

გია ცაცაშვილი

კანდიდატს აქვს მაღალი კვალიფიკაცია და მდიდარი გამოცდილება, მათ შორის კიბერუსაფრთხოების სფეროში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ცესკოს წინაშე არსებული გამოწვევების საპასუხოდ. კანდიდატი კარგად იცნობს საერთაშორისო და ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების შეფასებებსა და რეკომენდაციებს, რის საფუძველზეც, ობიექტურად აფასებს საარჩევნო პროცესში გამოვლენილ ხარვეზებს და აქვს ამ ხარვეზების აღმოფხვრის მკაფიო ხედვა. გააჩნია ეთნიკური უმცირესობების ელექტორალური საჭიროებების სიღრმისეული ცოდნა. აკმაყოფილებს კომისიის მიერ შემუშავებულ ყველა კრიტერიუმს, რის გამოც მხარს ვუჭერ მის კანდიდატურას.

არნოლდ სტეფანიანი _____ 15.01.2022

ცესკოს თავმჯდომარეობისა და წევრობის კანდიდატების შეფასებები

N	კანდიდატი სახელი, გვარი	შეფასება	მოსაზრება კანდიდატის შესახებ
1	თამაზ ფოლადაშვილი	დადებითი	კანდიდატს აქვს საარჩევნო კანონმდებლობის ცოდნა, საარჩევნო სფეროში მუშაობის გამოცდილება და ფლობს მენეჯერულ უნარებს. ვფიქრობ, კანდიდატი აკმაყოფილებს კომისიის მიერ შემუშავებულ კრიტერიუმებს.
2	თენგიზ თევზაძე	უარყოფითი	კანდიდატს აქვს სიღრმისეული თეორიული ცოდნა საარჩევნო კანონმდებლობის, იგი ჩართულია სამეცნიერო საქმიანობაში სხვადასხვა უნივერსიტეტში, რაც დადებითად შესაფასებელია. ასევე, აქვს პრაქტიკული გამოცდილება საარჩევნო საკითხებში. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ სათანადოდ ვერ დაადასტურა გამოცდილების ქონა მართვის სფეროში, რაც მიანიშნებს, რომ მან ვერ დააკმაყოფილა კომისიის მიერ შემუშავებული კრიტერიუმები.
3	გიორგი შაიშმელაშვილი	უარყოფითი	კანდიდატს აქვს საარჩევნო სფეროში მუშაობის გამოცდილება. თუმცა, ბუნდოვანია მისი პოზიცია, მოტივაცია და სამომავლო ხედვა მისი ცესკოს თავმჯდომარედ არჩევის შემთხვევაში. იკვეთება პოლიტიკური მიკერძოება. შესაბამისად, მან ვერ დააკმაყოფილა კომისიის მიერ შემუშავებული კრიტერიუმები.
4	გიორგი კალანდარიშვილი	დადებითი	კანდიდატს აქვს საარჩევნო საკითხების პროფესიული ცოდნა და ხანგრძლივი გამოცდილება, გამოკვეთილი მენეჯერული უნარები და მართვის სფეროში სათანადო პრაქტიკა. კანდიდატმა დამაჯერებლად წარმოადგინა სამომავლო ხედვა ინსტიტუციის შემდგომი განვითარების კუთხით. აქვს პრობლემის დანახვისა და ანალიზის უნარი. ვფიქრობ, კანდიდატი აკმაყოფილებს კომისიის მიერ შემუშავებულ ყველა კრიტერიუმს.

5	ქრისტინე ქაჯაია	დადებითი	კანდიდატს აქვს საარჩევნო კანონმდებლობის ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება საარჩევნო სფეროში. გააჩნია პრობლემის ანალიზის უნარი. ჩამოყალიბებული აქვს სამომავლო ხედვა.
6	ლევან ისაკაძე	დადებითი	კანდიდატს აქვს პრაქტიკული გამოცდილება საარჩევნო სფეროში და პრობლემის ანალიზის უნარი.
7	ციალა შავაძე	უარყოფითი	კანდიდატს აქვს გამოცდილება საარჩევნო სფეროში. თუმცა შესაბამისი თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებით ბუნდოვანია მისი ხედვა და მოტივაცია.
8	რუსუდან მუმლაძე-ავალიანი	უარყოფითი	კანდიდატს აქვს გარკვეული გამოცდილება საარჩევნო სფეროში. თუმცა, შესაბამისი თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებით ბუნდოვანია მისი პოზიცია და მოტივაცია. ამასთანავე, ზოგადია კანდიდატისთვის დასმულ კითხვებზე გაცემული პასუხები.
9	მამუკა ხოლეგაშვილი	უარყოფითი	კანდიდატს აქვს გამოცდილება საარჩევნო სფეროში. თუმცა, შესაბამისი თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებით ბუნდოვანია მისი სამომავლო ხედვა და მოტივაცია, იკვეთება პოლიტიკური მიკერძოება. ამასთანავე, ზოგადია კანდიდატისთვის დასმულ კითხვებზე გაცემული პასუხები.
10	მაია ზარიძე	დადებითი	კანდიდატს აქვს სათანადო ცოდნა და გამოცდილება საარჩევნო სფეროში, გააჩნია პრობლემის იდენტიფიცირებისა და ანალიზის უნარი. ნათლად აქვს ჩამოყალიბებული სამომავლო ხედვა.
11	გია ცაცაშვილი	დადებითი	კანდიდატს აქვს სათანადო ცოდნა და გამოცდილება საარჩევნო სფეროში. გააჩნია პრობლემის დანახვისა და სიღრმისეული ანალიზის უნარი. ჩამოყალიბებული აქვს ზუსტი სამომავლო ხედვა. გამოირჩევა მაღალი ინტელექტით.

საკონკურსო კომისიის წევრი

სოფიო მიდელაშვილი

15.01.2022 წელი

კანდიდატის სახელი, გვარი	შეფასება	მოსაზრება კანდიდატის შესახებ
1. თამაზ ფოლადაშვილი	უარყოფითი	მართალია აქვს საერჩევნო კანონმდებლობის ცოდნა და მართვის გამოცდილებაც, მაგრამ მისი საქმიანობიდან გამომდინარე არსებობს მიუკერძოებლობის და დამოუკიდებლობის საკითხში ეჭვი რის გამოც არ ვაძლევ რეკომენდაციას შესაბამისი თანამდებობის დასაკავებლად მისი კანდიდატურის წარდგენაზე.
2. თენგიზ თევზაძე	დადებითი	აქვს საარჩევნო კანონმდებლობის საფუძვლიანი ცოდნა, სათანადო ხედვა არჩევნების პროცესის გაუმჯობესების საკითხში, აქვს მართვის გამოცდილება და არ არსებობს ეჭვი მისი დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობისადმი.
3. გიორგი შაიშმელაშვილი	უარყოფითი	არ დასტურდება საერჩევნო პროცესის მართვის სათანადო გამოცდილება, რაც აუცილებელია კანდიდატის მიერ ვაკანტურ თანამდებობაზე დასაკავებლად, ასევე არსებობს ეჭვი, რომ ის პოლიტიკურად მიკერძოებულია.
4. გიორგი კალანდარიშვილი	დადებითი	აქვს სათანადო გამოცდილება როგორც საქართველოში ისე უცხოეთში საარჩევნო პროცესში მონაწილეობის, კარგად იცნობს საერთაშორისო გამოცდილებას აღნიშნულ სფეროში, აქვს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების საკითხში მკაფიო და არგუმენტირებული ხედვა, სათანადო მართვის უნარები, კანონმდებლობის სრულყოფილი ცოდნა და არ არსებობს ეჭვის შეტანის საფუძველი მის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაში.

5. ქრისტინე ქაჯაია	დადებითი	სათანადოდ იცნობს საარჩევნო კანონმდებლობას, აქვს თავისი ხედვა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების საკითხში, აქვს პროფესიული უნარჩვევები და დაადასტურა რომ იქნება დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი.
6. ლევან ისაკაძე	დადებითი	აქვს საარჩევნო პროცესში მონაწილეობის, მათ შორის მართვით რგოლში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება.სათანადოდ იცნობს საარჩევნო კანონმდებლობას, აქვს თავისი ხედვა საარჩევნო კანონმდებლობის გაუმჯობესების საკითხში, აქვს პროფესიული უნარჩვევები და დაადასტურა რომ იქნება დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი.
7. ციალა შავაძე	უარყოფითი	დამაჯერებლად არ ჩამოაყალიბა თავისი ხედვა, მართალია აქვს საარჩევნო პროცესში მონაწილეობის გამოცდილება, მაგრამ არ გააჩნია სათანადო პროფესიული უნარ-ჩვევები და მის მიმართ არსებობს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის საკითხში ეჭვი.

8. რუსუდან მუმლაძე-ავალიანი	უარყოფითი	მართალია აქვს საარჩევნო პროცესში მონაწილეობის გამოცდილება, მათ შორის მართვის გამოცდილებაც, თუმცა არის პოლიტიკურად მიკერძოებული და დამაჯერებლად ვერ დაასაბუთა რომ იქნება დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი კანდიდატი.
9. მამუკა ხოლეგაშვილი	უარყოფითი	მართალია აქვს არჩევნებში მონაწილეობის მრავალწლიანი გამოცდილება, იცნობს საარჩევნო კანონმდებლობას და აქვს შესაბამის მართვის უნარიც, მაგრამ იგი არის გამოკვეთილად პოლიტიკურად მიკერძოებული.
10. მაია ზარიძე	დადებითი	აქვს საარჩევნო კანონმდებლობის სრულყოფილი ცოდნა, როგორც შიდა, ისე საერთაშორისო დონეზე საარჩევნო პროცესში მონაწილეობის მრავალწლიანი გამოცდილება, მაღალი დონის მართვის უნარჩვევები, საარჩევნო პროცესის გაუმჯობესების საკითხში თავისი არგუმენტირებული ხედვა, სრულად იცნობს არსებულ პრობლემებს და შემუშავებული აქვს მათი აღმოფხვრის გზები.

11. გია ცაცაშვილი	დადებითი	აქვს საარჩევნო კანონმდებლობის სრულყოფილი და საფუძვლიანი ცოდნა, როგორც შიდა, ისე საერთაშორისო დონეზე საარჩევნო პროცესში მონაწილეობის მრავალწლიანი გამოცდილება, დამაჯერებელია კონკურსში მონაწილეობის მოტივაცია,რადგან აქვს მაღალი დონის მართვის უნარჩვევები, საარჩევნო პროცესის გაუმჯობესების საკითხში თავისი არგუმენტირებული ხედვა, სრულად იცნობს არსებულ პრობლემებს და შემუშავებული აქვს მათი აღმოფხვრის კონცეფცია.

შალვა ქურდაძე

15.01.2022

ცესკოს თავმჯდომარეობის და წევრობის კანდიდატების არგუმენტირებული შეფასება

საკონკურსო კომისიის წევრი ზაურ ხალილოვი

N	კანდიდატი სახელი, გვარი	შეფასება	მოსაზრება კანდიდატის შესახებ
1	თამაზ ფოლადაშვილი	უარყოფითი	კანდიდატს აქვს საკმარისი გამოცდილება იმისათვის, რომ ის იყოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თანამშრომელი, მაგრამ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავჯდომარის თანამდებობის დასაკავებლად მისი კომპეტენცია და ხედვა არ აკმაყოფილებს კრიტერიუმებს
2	თენგიზ თევზაძე	დადებითი	კანდიდატს აქვს საკმარისი განათლება და გამოცდილება, საკმაოდ საინტერესო ხედვა რაც მისაღებია ჩემთვის, იმისათვის რომ ცესკოს თავმჯდომარეს პოზიციაზე იყოს წარდგენილი
3	გიორგი შაიშმელაშვილი	უარყოფითი	კანდიდატს არ გააჩნია ცესკოს თავმჯდომარეობისათვის საჭირო ცოდნა და უნარები, მისი გამოცდილება საკმარისი არაა გახდეს ცესკოს თავმჯდომარე.
4	გიორგი კალანდარიშვილი	დადებითი	კანდიდატის გამოცდილება, ცოდნა, უნარები მაძლევს იმის უფლებას მივცე დადებითი შეფასება. დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა ყველა დასმულ კითხვას. მას გააჩნია ხედვა ცესკოს საქმიანობის გაუმჯოსობების
5	ქრისტინე ქაჯაია	უარყოფითი	მისი შრომითი გამოცდილება არ არის საკმარისი იმისათვის, რომ გახდეს ცესკოს წევრი. მან მკაფიოთ ვერ ჩამოაყალიბა ის მიდგომები თუ რის განვითარებას აპირებს ცესკოს წევრობის შემთხვევაში.
6	ლევან ისაკაძე	უარყოფითი	მიუხედავათ გამოცდილებისა, მან ვერ შეძლო ის იდეები რომელიც გააჩნია, კერძოდ ახალგაზდების ჩართულობა, განეხორციელებინა.
7	ციალა შავაძე	უარყოფითი	მუშაობს ცესკოს სტრუქტურებში წლების განმავლობაში, მას აქვს საკმარისი გამოცდილება, მაგრამ მიუხედავად ამისა ვფიქრობ, რომ მისი ცესკოს წევრობა კომისიას ახალს ვერაფერს შესძენს.
8	რუსუდან მუმლაძე-ავალიანი	უარყოფითი	მისი გამოცდილება საკმარისი არაა ცესკოს წევრობისთვის, არ გააჩნია მკაფიო ხედვა
9	მამუკა ხოლეგაშვილი	უარყოფითი	მისი ცოდნა და გამოცდილება საკმარისი არაა იმისათვის, რომ გახდეს ცესკოს წევრი. ეჭვქვეშ დგას მისი დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა.
10	მაია ზარიძე	დადებითი	კანდიდატს გააჩნია საკმარისი ცოდნა და გამოცდილება იმისათვის, რომ გახდეს ცესკოს წევრი. მან ნათლად ჩამოაყალიბა თავისი ხედვა და პრობლემების გადაჭრის გზები

11	გია ცაცაშვილი	დადებითი	კანდიდატი გამოირჩევა მაღალი კვალიფიკაციით და პროფესიონალიზმით. მან საკმაოდ კარგად ჩამოაყალიბა თავისი ხედვა ცესკოს საქმიანობის შესახებ და პრობლემების გადაჭრის გზები, რაც ჩემთვის იყო მისაღები.

ზაურ ხალილოვი

15.01.2022

ცესკოს თავმჯდომარეობის კანდიდატების შეფასება

1. თამაზ ფოლადაშვილი. კანდიდატს გააჩნია, როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული ცოდნა და გამოცდილება მოცემულ სფეროში. აქვს საარჩევნო საქმიანობის ერთიანი სისტემური ხედვა, კარგად ერკვევა დეტალებშიც. სწორად აფასებს არსებულ პრობლემებს და ხარვეზებს, მოწოდებულია მათი გამოსწორებისკენ და ცვლილებებისკენ. ტოვებს მიუკერძოებელი, ობიექტურად კრიტიკული, საქმეში ჩახედული პროფესიონალის შთაბეჭდილებას.

2. თენგიზ თევზაძე კანდიდატს, დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე გააჩნია სათანადო კომპეტენცია და პროფესიონალიზმი. აქვს საარჩევნო სფეროს გააზრებული ხედვა. ახასიათებს მეცნიერული და თეორიული მიდგომები საარჩევნო სისტემების ანალიზისას. საარჩევნო პროცესში თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების დანერგვის აქტიური მომხრეა. გააჩნია პროფესიული კომუნიკაციის სათანადო უნარი.

3. გიორგი შაიშმელაშვილი იმის მიუხედავად, რომ კანდიდატს საარჩევნო პროცესებში აშკარად გააჩნია პრაქტიკული გამოცდილება, მის მიერ საარჩევნო სისტემის ერთიანი, პროფესიული ხედვა ვერ იქნა ნათლად ჩამოყალიბებული და წარმოჩენილი. ამის გამო, მისი კომპეტენცია, დასაკავებელ თანამდებობასთან მიმართებაში - არასაკმარისად იქნა მიჩნეული.

4. გიორგი კალანდარიშვილი კანდიდატს გააჩნია გამორჩეულად მაღალი პროფესიონალიზმი, ფართო ხედვა, განსაკუთრებული კომუნიკატორული უნარები. გასაუბრებაზე მის მიერ წარმოდგენილი თემატიკა და ხედვები იყო აქტუალური, გაცემული პასუხები კი ამომწურავი. საარჩევნო სისტემის ერთიან მთლიანობაში და მცირე დეტალებში გააჩნია კომპეტენტური, მკაფიო ხედვა. აქვს ფართომასშტაბიანი მართვის მდიდარი გამოცდილება. გააჩნია ინოვაციების, ახალი ტექნოლოგიების გამოყენების სისტემურად განხორციელების რეალისტური გეგმა, როგორც ოპერატიულ, ასევე გრძელვადიან დროის მონაკვეთში. კანდიდატის აქტივობის დამაჯერლობას ამყარებს მის მიერ უკვე პრაქტიკულად განხორციელებული საპილოტე, წარმატებული პროექტები. ჩემის აზრით კანდიდატი, თავისი მონაცემებით, სრულად შეესატყვისება საკონკურსო თანამდებობას.

ცესკოს წევრობის კანდიდატების შეფასება

1. ქრისტინე ქაჯაია. აქვს სათანადო გამოცდილება საარჩევნო სფეროში, კარგად არის გათვითცნობიერებული საქმიანობის ნიუანსებში. გაჩნია კომუნიკაციის შესაბამისი უნარები. კარგად იცის საარჩევნო კანონმდებლობა. სრულად აქვს

გათვითცნობიერებული ცესკოს წევრის პასუხისმგებლობა. იკვეთება ობიექტურობა და მიუკერძოებლობა.

2. ლევან ისაკაძე აქვს შესაბამისი პრაქტიკული ცოდნა და სათანადო გამოცდილება საარჩევნო სფეროში. მოსჩანს, რომ არის პრინციპული. გააჩნია საარჩევნო სისტემის განვითარების და გაუმჯობესების პროფესიულად ჩამოყალიბებული, საკუთარი ხედვა. კარგად აქვს გათვითცნობიერებული ცესკოს წევრის პასუხისმგებლობა. ემხრობა ახალგაზრდა კადრების მოზიდვას საარჩევნო სიტემის სტრუქტურებში დასასაქმებლად. ფლობს კომუნიკაციის კარგ უნარებს.

3. ციალა შავაძე კანდიდატს აქვს საარჩევნო საქმიანობაში მნიშვნელოვანი გამოცდილება, გააჩნია პროფესიული უნარები. გასაუბრებისას, კომისიის წევრებთან კითხვა-პასუხის პროცესში გამოიკვეთა პარტიული ზეგავლენის შემთხვევები კანდიდატის საქმიანობაში, რამაც გააჩინა მიკერძოების საფუძვლიანი ეჭვი.

4. რუსუდან მუმლაძე-ავალიანი კანდიდატს გააჩნია საკმაო პრაქტიკული გამოცდილება, რაზე დაყრდნობითაც კერძო მოვლენებისა და კონკრეტული ხარვეზების მიმართ გამოხატა თავისი მოქალაქეობრივი დამოკიდებულება. თუმცა, როგორც პროფესიონალმა, ერთიანი საარჩევნო სისტემის მიმართ, საკუთარი მკაფიო ხედვა ვერ წარმოდგინა. მიზეზი შეიძლება იყოს პროფესიული კომუნიკაციის არასათანადო უნარები.

5. მამუკა ხოლეგაშვილი მიუხედავად კანდიდატის გამოცდილებისა საარჩევნო სფეროში, მასთან ვერ გამოვლინდა ცესკოს სამომავლო მოქმედების და განვითარების სათანადოდ ჩამოყალიბებული, გამოკვეთილი ხედვა, ვერც საარჩევნო ტექნოლოგიების გაუმჯობესების სიღრმისეული, პროფესიულად გააზრებული შემოთავაზება-წინადადებები. ამ ეტაპზე, მისი კომპეტენცია მოცემულ სპეციფიურ სფეროში კონკრეტული პოზიციის დასაკავებლად არასაკმარისად იქნა მიჩნეული.

6. მაია ზარიძე კარგად იცის საარჩევნო კანონმდებლობა. აქვს მდიდარი გამოცდილება, ფლობს შესაბამის მაღალ კომპეტენციას საარჩევნო სფეროში. არის საქმის პროფესიონალი. ამ თვისებებს თავისუფლად და გასაგებად გამოხატავს და ავლენს პროფესიული კომუნიკაციის დროს. ასევე იკვეთება ობიექტურობა და მიუკერძოებლობა. აქვს საკუთარი ხედვა ცსკოს მუშაობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

7. გია ცაცაშვილი გააჩნია საარჩევნო კანონმდებლობის სიღრმისეული ცოდნა და სათანადო გამოცდილება. არის ფართო თვალსაწიერის მქონე, ერუდირებული პიროვნება, აქვს მაღალი კომპეტენცია საარჩევნო პრაქტიკულ საქმიანობაში.

ფლობს საარჩევნო ელექტრონული ტექნოლოგიების ცოდნას, მათ შორის კიბერუსაფრთხოების მიმართულებით. გააჩნია არგუმენტირებული ხედვა ცსკოს მუშაობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. ხასიათდება პოლიტიკური ობიექტურობით და მიუკერძოებლობით, დამოუკიდებელი აზროვნებით.

გიორგი იაშვილი

15.01.2022